

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
დავით ჭეიშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232550655

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	კასპი. სოფელი ხოვლე
ფაქტობრივი მისამართი	კასპი. სოფელი ხოვლე
საფოსტო ინდექსი	2610
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/IpQkV
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khovle@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577957362

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16/04/2026 წლის ბრძანება MES 4 26 0000443523
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	----------

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის გზით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების გადაწყვეტილებით უზრუნველყოფდა ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაამუშავა წარმოდგენილი მასალები, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლიდან. წარმოდგენილი და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შეფასება, რომლის შედეგებიც ასახულია წინამდებარე დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
200	**125**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 01/06/2026 წლის MES 1 26 0000651600 კორესპონდენციით ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადმოეცა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია და არგუმენტები. განხილვის შედეგად, რიგ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, ხოლო ერთ ინდიკატორებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტები გაზიარებისათვის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია. კერძოდ, სკოლის პოზიცია გაზიარებული იქნა 1.2.1.2, 1.2.1.3, 1.2.1.4 და 1.2.2.3 ინდიკატორებთან დაკავშირებით, ხოლო 1.2.2.2 ინდიკატორებთან დაკავშირებით არ იქნა გაზიარებული. ამასთან, სკოლის მიერ რევიზირებული და განახლებული სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი გეგმის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა დამატებით რჩევა 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით.

II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში არ იკვეთება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია სკოლამ გადახედოს მისიისა და ხედვის ფორმულირებებს და უზრუნველყოს მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა. მიზანშეწონილია, მისია ასახავდეს სკოლის მიმდინარე დანიშნულებას, ძირითად ღირებულებებსა და საქმიანობის არსს, ხოლო ხედვა სკოლის გრძელვადიან მიზნებსა და სასურველ მომავალ მდგომარეობას/თუ სად ხედავს სკოლა საკუთარ თავს შვიდი წლის შემდეგ. ამასთან, სასურველია შემცირდეს მისიისა და ხედვის ტექსტებში იდენტური ან შინაარსობრივად განმეორებადი ფორმულირებები, რათა თითოეული დოკუმენტი იყოს უფრო მკაფიო, კონკრეტული და ფუნქციურად გამიჯნული.
ინდიკატორი **1.1.1.3**	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია ბრძანებაში დააკონკრეტოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მომავალში მსგავსი ცვლილებების განხორციელების დროს ოქმის წარმოებისას მკაფიოთ გაწერონ ვინ რა წინადადებები დააყენა და რომელი გაითვალისწინეს, რომელი არა და რტომ.
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია სკოლამ სტრატეგიული მიზნის „მოსწავლეთა მხარდაჭერა“ ფარგლებში განსაზღვრული ამოცანა „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“, გაითვალისწინოს მომდევნო წლების სამოქმედო გეგმებში და უზრუნველყოს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით საჭირო ღონისძიებების სისტემური დაგეგმვა და განხორციელება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	შესრულების სტატუსი
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცება.	სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმით დამტკიცებული რევიზირებული ფილოსოფია
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დამტკიცებული მისიითა და ხედვით განსაზღვროს საკუთარი როლი, როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სივრცე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023- 30.12.2023).	შესრულებულია
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.	სკოლამ ფილოსოფიის რევიზირება განახორციელა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებაში გაზიარება.	სკოლის განახლებული ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს მისია, ხედვა, ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა, კერძოდ მისი გაზიარება სკოლის ვებ-გვერდზე და საჯაროდ, სოციალურ ქსელში.	შესრულებულია
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს შვიდიწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება.	არ არის შესრულებული დამტკიცებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, წარმოდგენილი გეგმა არის 5 წლიანი. ხარვეზი სკოლამ გამოასწორა არგუმენტირებულ პოოზიციაში
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023)	შესრულებულია

		უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება.	
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, და ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია პირები/სტრუქტურული ერთეულები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.11.2023-30.12.2023) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სადაც განსზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია ორიენტირებულია უსაფრთხო, პოზიტიური და წამახალისებელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფაზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას. ამასთან, მისია ხაზს უსვამს ტოლერანტული, დემოკრატიული,

ჰუმანური და ეკოლოგიური ცნობიერების მქონე თაობის აღზრდას, სახელმწიფო ენის, ქვეყნის ისტორიისა და ოჯახის ინსტიტუტის პატივისცემას, რაც სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ ღირებულებებთან.

სკოლის ხედვაც მკაფიოდ გამოხატავს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზანს. ხედვაში აქცენტი გაკეთებულია სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზე, ინოვაციების დანერგვაზე, რაც ემსახურება თვითრეალიზებული, ცოდნაზე ორიენტირებული და პასუხისმგებლობიანი მოქალაქეების ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიმართულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრის აღზრდაზე.

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია სკოლამ გადახედოს მისიისა და ხედვის ფორმულირებებს და უზრუნველყოს მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა. მიზანშეწონილია, მისია ასახავდეს სკოლის მიმდინარე დანიშნულებას, ძირითად ღირებულებებსა და საქმიანობის არსს, ხოლო ხედვა სკოლის გრძელვადიან მიზნებსა და სასურველ მომავალ მდგომარეობას/თუ სად ხედავს სკოლა საკუთარ თავს შვიდი წლის შემდეგ. ამასთან, სასურველია შემცირდეს მისიისა და ხედვის ტექსტებში იდენტური ან შინაარსობრივად განმეორებადი ფორმულირებები, რათა თითოეული დოკუმენტი იყოს უფრო მკაფიო, კონკრეტული და ფუნქციურად გამიჯნული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლას, როგორც უსაფრთხო, პოზიტიურ და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიასა და ხედვაში ხაზგასმულია უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნის მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას. ამასთან, მისია და ხედვა ორიენტირებულია ტოლერანტული, დემოკრატიული, ჰუმანური და ეკოლოგიური ცნობიერების მქონე თაობის აღზრდაზე, სახელმწიფო ენის, ქვეყნის ისტორიისა და ოჯახის ინსტიტუტის პატივისცემის გაძლიერებაზე, რაც სკოლის სოციო-კულტურულ როლს მკაფიოდ წარმოაჩენს. ხედვაში ასევე გამოკვეთილია სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ინოვაციების დანერგვა და თვითრეალიზებული მოქალაქეების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ როლს აღიქვამს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების მხარდამჭერ გარემოდ.

ინდიკატორის მითხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 5 სექტემბრის N1 ოქმი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოსწავლე და თემის წარმომადგენელი. აღნიშნული ოქმით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ცვლილებების გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანა სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, თუმცა ოქმით არ დგინდება ვინ იყო ამ ცვლილებების ინიციატორი და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა. აღნიშნული ცვლილებები განხილული და შეთანხმებული იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (2025 წლის 5 სექტემბერი, ოქმი N8), რომელსაც ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის ფილოსოფიის ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლები, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, რომელშიც სამუშაო ჯგუფის წევრები განსაზღვრული არიან მხოლოდ პოზიციების მითითებით (დირექტორის მოადგილე, საბუნებისმეტყველო კათედრის წევრი, მშობლის წარმომადგენელი, ბუღალტერი, თემის წარმომადგენელი, მოსწავლეთა წარმომადგენელი და სხვა), კონკრეტული პირების სახელობითი მითითების გარეშე შესაბამისად, წარმოდგენილი ბრძანებით ვერ დგინდება სამუშაო ჯგუფის კონკრეტული შემადგენლობა და ვერ დასტურდება, თუ რამდენად უფლებამოსილი იყო ის ჯგუფი, რომელმაც სკოლის ფილოსოფიაში ცვლილებები შეიმუშავა.

სკოლას მიეცა რჩევა ბრძანებაში დააკონკრეტოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მომავალში მსგავსი ცვლილებების განხორციელების დროს ოქმის წარმოებისას მკაფიოთ გაწერონ ვინ რა წინადადებები დააყენა და რომელი გაითვალისწინეს, რომელი არა და რტომ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლამ გააცნო მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია 2025 წლის 15 სექტემბრის ოქმი N2, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებას წარედგინა სკოლის ფილოსოფია. წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა მოიწონეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და მათთან დაკავშირებით შენიშვნები ან კომენტარები არ გამოუთქვამთ. ამასთან, სკოლის ფილოსოფია შეთანხმებული იქნა სამეურვეო საბჭოსთან. აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე რითაც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელი სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №448 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას 2023 წლის 18 სექტემბრის N2/56 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, მასში ჩართული მხარეების როლებსა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის დირექტორი სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელშიც წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა მხარე (ადმინისტრაცია, დირექცია, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე), აღნიშნული სამუშაო ჯგუფი მონაწილეობს სკოლის განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება ინფორმაციის სისტემურ შეგროვებასა და ანალიზს. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებულ უკუკავშირს, ჩატარებული კვლევების შედეგებს, სტატისტიკურ მონაცემებსა და საჭიროებების შეფასების მექანიზმებს. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება სკოლის განვითარების პრიორიტეტები და შესაბამისი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებით შემუშავებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლის განვითარებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და საერთო პასუხისმგებლობის გაზიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიეკუთვნება სკოლაში მიმდინარე ძირითად პროცესებს და ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ, რაც ადასტურებს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას. რაც შეეხება სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმას, დოკუმენტს მითითებული აქვს, რომ წარმოადგენს 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა იგი გაწერილია 5-წლიან პერიოდზე (2025-2030 წწ.). აღსანიშნავია, რომ სკოლამ 2023 წელს

შემუშავებული სტრატეგიული გეგმის რევიზირება მოახდინა 2025 წელს, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 5 სექტემბრის N1 ოქმი. აღნიშნული ოქმით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფმა განიხილა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ცვლილებების გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანა სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში. ასევე, ცვლილებები შეეხო 2023-2030 წლების შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას. ამავე თარიღით, 2025 წლის 5 სექტემბერს, გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც მესამე საკითხად განხილული იქნა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის საკითხი. სამეურვეო საბჭოს დადგენილების მიხედვით, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შეთანხმებულად ჩაითვალა და დასამტკიცებლად წარედგინა სკოლის დირექტორს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

რაც შეეხება თავად სტრატეგიულ გეგმას, იგი მოიცავს 5 სტრატეგიულ მიზანს, მაშინ როდესაც სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს 7 სტრატეგიულ მიზანს შესაბამისი ამოცანებით.

სკოლის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები **რიგ შემთხვევებში** ფორმულირებულია ზოგადად და უფრო აღწერს პროცესს ან პრინციპს, ვიდრე კონკრეტულ, გაზომვად და შესრულებად შედეგს. მაგალითად: „სკოლა უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესებში და სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, საჯაროობასა და გამჭვირვალობას“. აღნიშნულ ფორმულირებაში არ იკვეთება, თუ რა კონკრეტული ცვლილება ან გაუმჯობესება უნდა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნის ფარგლებში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები

(1) **სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა 5 წლიანია, ნაცვლად 7 წლისა;**
(2) **სკოლა არ იცავს თავისივე შიდანორმატიულ აქტს. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 5 სტრატეგიულ მიზანს, ნაცვლად 7 სტრატეგიული მიზნისა, როგორც ეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული.**

(3) **სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. სამეურვეო საბჭომ სტრატეგიული განვითარების გეგმა არ დაამტკიცა, არამედ მხოლოდ შეთანხმებულად ჩათვალა და დასამტკიცებლად წარუდგინა სკოლის დირექტორს, მაშინ როდესაც სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას.**

(4) **სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად მითითებულია დირექტორი, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31**

აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ .
(5) სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები არ არის კონკრეტული, მკაფიო და შედეგზე ორიენტირებული, ნათლად არ არის განსაზღვრული შესასრულებელი ქმედება და მოსალოდნელი შედეგი.

სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 (2026 წლის 27 მაისი) რომლის თანახმადაც სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა 2023-2030 წწ-ის სტრატეგიული გეგმის განახლებული პროექტი, რომელიც შედგება 7 მსხვილი მიზნისგან და მიზნების შესაბამისი ამოცანებისგან. ამასთან აღნიშნული ოქმის მიხედვით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შეტანილია ყველა ის ცვლილება რასაც ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და დაადგინა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია 7 წლიანი პერიოდისთვის, მოიცავს 7 სტრატეგიულ მიზანსა და მათ შესაბამის ამოცანებს, რომლებიც, ძირითადად, კონკრეტულად და მკაფიოდ არის ფორმულირებული. თუმცა, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, ასევე რომ სტრატეგიული მიზნის „მოსწავლეთა მხარდაჭერა“ ფარგლებში განსაზღვრული ამოცანა „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“, რომელიც სტრატეგიული გეგმის მიხედვით 2023-2030 წლებში უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახული არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ გამომდინარე იქიდან , რომ უკვე სასწავლო წელი სრულდება და 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ცვლილების განხორციელება ნაკლებად ეფექტიანი იქნება, მოცემული ამოცანა აუცილებლად გაითვალისწინოს მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში და უზრუნველყოს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით საჭირო ღონისძიებების სისტემური დაგეგმვა და განხორციელება.

ამასთან, სკოლამ წარმოადგინა განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმარების განახლებული მეთოდოლოგია, სადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ სამეურვეო საბჭოა განსაზღვრული.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმების თავსართზე მითითებულია, რომ დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი ოქმები სკოლას არ წარმოუდგენია. სამოქმედო გეგმები ერთწლიანია. მასში წარმოდგენილი მიზნები ემთხვევა სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებს ან მიმართულებებს, ხოლო ამოცანები შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის მიზნების ფარგლებში გაწერილ ამოცანებთან. სამოქმედო გეგმა ეფუძნება წინა წლის სამოქმედო გეგმების შეფასებას.

ხარვეზი. სკოლას არ წარმოუდგენია სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმები, რომლებიც დაადასტურებდა სამოქმედო გეგმების დამტკიცების ფაქტს.
სკოლამ არგუმენტორებულ პოზიციაში წარმოადგინა 2026 წლის 2027 მაისის სამეურვეო საბჭოს N4 სხდომის ოქმი, რომლითაც დაამტკიცა ცვლილება 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

თუმცა, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები საჭიროებს გადახედვას, რადგან ისინი კონკრეტული მიზნისა და ამოცანის შესაბამისად არ არის ფორმულირებული და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ამოცანისა და მიზნის მიღწევას. მაგალითად, სტრატეგიულ მიზნად განსაზღვრულია ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამის ამოცანად - სკოლის ციფრული განვითარება, ხოლო აქტივობად წარმოდგენილია: „სასწავლო პროცესის ხარისხისა და მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება“. აღნიშნული აქტივობა შინაარსობრივად უფრო სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას უკავშირდება და არა უშუალოდ ინფრასტრუქტურის ან ციფრული რესურსების განვითარების უზრუნველყოფას.

ამრიგად გამოიკვეთა ხარვეზი
სამოქმედო გეგმაში მიზნები, ამოცანები და აქტივობები ერთმანეთთან სრულ შინაარსობრივ შესაბამისობაში არ არის. რიგ შემთხვევებში აქტივობები არ ემსახურება შესაბამისი სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის მიღწევას, რის გამოც ირღვევა გეგმის ლოგიკური კავშირი და შედეგზე ორიენტირებულობა.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლებიც ერთმანეთთან შესაბამისობაშია. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- ერთწლიანი გეგმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, განსაზღვრავს შესაბამის მექანიზმებს, პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმის მონიყტორინგი და შეფასება ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს, სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება წლის მანძილზე ორჯერ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები. წარმოდგენილი ანგარიშები ნარატიული ფორმითაა შედგენილი და ასახავს განხორციელებულ აქტივობებსა და შესრულებულ სამუშაოებს. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება. ასევე, ანგარიშებში არ ჩანს, თუ რა მექანიზმებით მოხდა უკუკავშირის შეგროვება.

ხარვეზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში არ იკვეთება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული იყო პერიოდი 2026 წლის 22-29 მაისის ჩათვლით, ხოლო შესაბამის აქტივობად მითითებული იყო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადება. არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვოდა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელსაც ხელს აწერს შეფასების ჯგუფის თავმჯდომარე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კვლავ ვერ დადასტურდა, თუ ვინ მონაწილეობდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავების პროცესში, იყო თუ არა უკუკავშირი მიღებული სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და გათვალისწინებულია თუ არა ის ანგარიშის მომზადებისას. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტიდან ვერ დადგინდა, სამოქმედო გეგმის სემესტრული თუ წლიური ანგარიშია წარმოდგენილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამოქმედო გეგმა მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან მომდევნო წლის სექტემბრამდე, რაც დამატებით აჩენს ანგარიშგების პერიოდის განსაზღვრის საჭიროებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით სკოლის პოზიცია არ გაიზიარა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოადგინა

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ 2026 წლის 22-29 მაისის პერიოდში სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში უნდა განეთავსებინა სკოლის ვებგვერდზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა აღნიშნული დოკუმენტის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის ვებგვერდი და დაადგინა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებულია ვებგვერდზე. შესაბამისად, უზრუნველყოფილია აღნიშნული დოკუმენტის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით, და ინდიკატორის შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (სამოქმედო გეგმების შედარებითი ანალიზით) დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობები ან ამოცანები ვერ სრულდება, სკოლა ითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებას და შესაბამის საკითხებს ასახავს მომდევნო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 03/06.2026 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: